საკრებულოს წევრის სტატუსთან საკრებულოს წევრის თანამდებობრივი და სამეწარმეო საქმიანობის შეუთავსებლობის საკითხების შესწავლა

წინამდებარე სამართლებრივი დასკვნა მომზადებულია საკრებულოს წევრის სტატუსთან მისი თანამდებობრივი და/ან სამეწარმეო საქმიანობის შესაძლო შეუთავსებლობის შეფასების მიზნით.

შეფასება განხორციელდა: საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრების მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და სამართლებრივი ნორმების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ:

საკრებულოს წევრები არ იკავებენ ისეთ თანამდებობას სახელმწიფო ან მუნიციპალურ ორგანოში, რომელიც კანონით პირდაპირ არის გამოცხადებული შეუთავსებლად საკრებულოს წევრის სტატუსთან;

საკრებულოს წევრების სამეწარმეო საქმიანობა (არსებობის შემთხვევაში) არ უკავშირდება მუნიციპალიტეტს,

არ იკვეთება სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც წარმოშობდა პირდაპირ ან ირიბ ინტერესთა კონფლიქტს;

საკრებულოს წევრები მონაწილეობენ გადაწყვეტილებების მიღებაში ისე რომ არ იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სამართლებრივი შეფასების შედეგად დგინდება, რომ საკრებულოს წევრის სტატუსთან მისი თანამდებობრივი და/ან სამეწარმეო საქმიანობის შეუთავსებლობის ნიშნები არ იკვეთება.

ამ ეტაპზე არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი საკრებულოს წევრის მიმართ შეუთავსებლობის დადგენის, პასუხისმგებლობის დაკისრების ან სხვა სახის სამართლებრივი რეაგირებისათვის.

საკრებულოს წევრთა დასწრებისა და საქმიანობის პირველადი ანალიზი

მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრთა დასწრებისა და საქმიანობის პირველადი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ საკრებულოს წევრები ძირითადად ესწრებიან საკრებულოსა, ბიუროს სხდომებსა და შესაბამისი კომისიების სხდომებს.

დასწრების მაჩვენებლები მიუთითებს საკრებულოს წევრთა აქტიურ მონაწილეობას წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობაში და მათ მიერ დაკისრებული უფლებამოსილების შესრულებაზე. ფიქსირდება სხდომების გაცდენის ცალკეული შემთხვევები, რასაც არ აქვს სისტემური ხასიათი და არ აფერხებს საკრებულოს მუშაობას.

მე-6 მოწვევის საკრებულოს მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად მიღებულ იქნა არაერთი სამართლებრივი აქტი (23 განკარგულება და 10 დადგენილება).

საკითხი არ საჭიროებდეს დამატებით სამართლებრივ რეაგირებას, რადგან არსებული მდგომარეობა შეესაბამება საკრებულოს საქმიანობის ნორმალურ და უწყვეტ რეჟიმს.

საკრებულოს აპარატის საოქმო და სამდივნო მომსახურების განყოფილება აღრიცხავს საკრებულოს წევრთა მიერ სხდომებზე დასწრებას, რომლის საფუძველზეც შემუშავდა აღნიშნული დასკვნა.